სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

09 სექტემბერი 2025

N 483/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს 400 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის – „ახალციხე-თორთუმი“-ს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის (სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს 400 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის – „ახალციხე-თორთუმი“-ს გაყვანა და ექსპლუატაცია) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2020 წლის 21 სექტემბრის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს 400 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის – „ახალციხე-თორთუმი“-ს გაყვანასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-837). აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე 2024 წლის 12 აპრილს გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №196/ს), რომლის საფუძველზე დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არ დაექვემდებარა გზშ-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული „ახალციხე-თორთუმი“-ს 400 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის სრული სიგრძე შეადგენს 150 კილომეტრს, საიდანაც საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის 36 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთი. აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზი მოიცავს 98 საყრდენს და მისი დერეფანი იწყება „ახალციხე 500“-ის ქვესადგურიდან, გადის ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში, გრძელდება თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე და თურქეთის ტერიტორიაზე უერთდება „თორთუმი“-ს ქვესადგურს.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე 2024 წლის 12 აპრილს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით შეიცვალა „ახალციხე-თორთუმი“-ს ელექტროგადამცემი ხაზის დაახლოებით 25 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთის დერეფანი (საბაზისო პროექტის ნუმერაციით: №21 საყრდენიდან №98 საყრდენამდე;

ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ნუმერაციით: AP 12 საყრდენიდან AP 37 საყრდენამდე), სადაც ნაცვლად გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრული 78 საყრდენისა, გათვალისწინებულია 71 საყრდენი. გარდა ამისა, დაზუსტდა საპროექტო მონაკვეთისთვის გათვალისწინებული მისასვლელი გზების საერთო სიგრძე, რამაც შეადგინა დაახლოებით 7,6 კილომეტრი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ კვლავ გეგმავს „ახალციხე-თორთუმი“-ს ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას, რომლის ფარგლებშიც შეიცვლება „ახალციხე-თორთუმი“-ს ელექტროგადამცემი ხაზის დაახლოებით 7,4 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთის დერეფანი (საბაზისო პროექტის ნუმერაციით: №1 საყრდენიდან №21 საყრდენამდე; ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ნუმერაციით: AP 1 საყრდენიდან AP 12 საყრდენამდე), ასევე გაიზრდება მითითებულ მონაკვეთზე გათვალისწინებული საყრდენების რაოდენობა. ამასთან, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით, ზუსტდება საპროექტო მონაკვეთისთვის გათვალისწინებული ახალი მისასვლელი გზების საერთო სიგრძე.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო მონაკვეთი გაივლის ახალციხის მუნიციპალიტეტში. იგი დაიწყება AP 1 საყრდენიდან და დასრულდება AP 12 საყრდენთან (საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატები: X-342821 Y-4618705; X-335905 Y-4618634). აღსანიშნავია, რომ საპროექტო მონაკვეთის შეცვლილი დერეფანი ხვდება გზშ-ის ეტაპზე შესწავლილ არეალში. კერძოდ, AP 1 საყრდენიდან AP 5 საყრდენამდე ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი გადაინაცვლებს სამხრეთის მიმართულებით, საიდანაც საბაზისო პროექტით გათვალისწინებულ მონაკვეთთან მაქსიმალური დაშორება იქნება დაახლოებით 350 მეტრი. აღნიშნული მონაკვეთის ძირითადი ნაწილი გაივლის მდელოებზე და დეგრადირებულ ფერდობებზე, სადაც ხე-მცენარეების მოჭრის საჭიროება არ დგას. ამასთან, მითითებული მონაკვეთი ფაუნისტური კუთხით გზშ-ის ანგარიშით განხილული დერეფნის ანალოგიურია. AP 5 საყრდენიდან T 7/1 საყრდენამდე ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი გადაინაცვლებს ჩრდილოეთის მიმართულებით, საიდანაც საბაზისო პროექტით გათვალისწინებულ მონაკვეთთან მაქსიმალური დაშორება იქნება დაახლოებით 70 მეტრი. აღნიშნულ მონაკვეთზე გადის 400 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „მესხეთი“, ასევე დაგეგმილია 500 კვ ძაბვის „წყალტუბო-ახალციხე“-ს ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. ელექტროგადამცემი ხაზების ურთიერთგადაკვეთის თავიდან ასაცილებლად, „ახალციხე-თორთუმი“-ს ელექტროგადამცემი ხაზის აღნიშნული მონაკვეთი განთავსდება „მესხეთი“-ს ელექტროგადამცემი ხაზის არსებულ საყრდენებზე, ხოლო „მესხეთი“-ს ელექტროგადამცემი ხაზის არსებული სადენების გადასატანად ჩრდილოეთით განთავსდება ახალი საყრდენები. აღსანიშნავია, რომ მითითებულ მონაკვეთზე „ახალციხე-თორთუმი“-ს ელექტროგადამცემი ხაზის საბაზისო პროექტით განსაზღვრული დერეფანი კვეთდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - ფერსას მეჩეთის ინდივიდუალურ დამცავ ზონას და გადიოდა სოფელი ფერსას დასახლებულ პუნქტზე, ხოლო აღნიშნული მონაკვეთის ჩრდილოეთით გადატანით, საპროექტო დერეფნიდან ფერსას მეჩეთთან და სოფელი ფერსას დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილი დაახლოებით 70 მეტრით გაიზრდება. T 7/1 საყრდენიდან AP 11 საყრდენამდე ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი რამდენიმე ათეული მეტრით გადაინაცვლებს სამხრეთის მიმართულებით და ძირითადად გაიმეორებს საბაზისო პროექტით გათვალისწინებულ დერეფანს. AP 11 საყრდენიდან AP 12 საყრდენამდე ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი ასევე გადაინაცვლებს სამხრეთის მიმართულებით, საიდანაც საბაზისო პროექტით გათვალისწინებულ მონაკვეთთან მაქსიმალური დაშორება იქნება დაახლოებით 100 მეტრი. აღნიშნულ მონაკვეთზე ელექტროგადამცემი ხაზის შეცვლილი დერეფანი ბიომრავალფეროვნების კუთხით გზშ-ის ანგარიშით განხილული დერეფნის ანალოგიურია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო მონაკვეთისთვის (AP 1 საყრდენიდან საყრდენიდან AP 12 საყრდენამდე) გზშ-ის ანგარიშით და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 20 საყრდენის ნაცვლად მოეწყობა 23 საყრდენი, ელექტროგადამცემი ხაზის შეცვლილი მონაკვეთის სიგრძე გაიზრდება დაახლოებით 8 კილომეტრამდე, ხოლო დაზუსტებული მისასვლელი გზების საერთო სიგრძე შემცირდება დაახლოებით 3 კილომეტრამდე. ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით საყრდენების და საძირკვლების ტიპების და ელექტროგადამცემი ხაზის სხვა ტექნიკური მახასიათებლების, ასევე სამშენებლო სამუშაოების ცვლილებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე ემისიებისა და ხმაურის სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება დეტალურად იქნა შეფასებული გზშ-ის ეტაპზე, ხოლო დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, სპეციფიკიდან გამომდინარე, არ უკავშირდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ექსკავირებული გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრისთვის, ასევე, მისასვლელი გზების ვერტიკალური გეგმარებისთვის. შესაბამისად, სანაყაროების მოწყობის საჭიროება აღარ არსებობს. რაც შეეხება მოსახსნელ ნიადაგის ნაყოფიერ ფენას, მისი მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებულ დერეფანში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. აღსანიშნავია, რომ ელექტროგადამცემი ხაზის შეცვლილი დერეფანი გაივლის გზშ-ის ანგარიშით შესწავლილ არეალში. გამოკვლეული დერეფანი სტაბილურია და საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების რისკები მინიმალურია. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე გატარდება გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებები და შესრულდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობები.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ნარჩენების მართვა განხორციელდება „საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ამასთან, ვინაიდან ელექტროგადამცემი ხაზის შეცვლილი დერეფანი გადადის ფერსას მეჩეთთან, დაახლოებით 70 მეტრში, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს

კორესპონდენციის თანახმად, იგი აღარ ხვდება ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონაში და მასზე აღარ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ელექტროგადამცემი ხაზის შეცვლილი დერეფანი არ სცდება გზშ-ის ეტაპზე შესწავლილ არეალს, სადაც დეტალურად იქნა გამოკვლეული არსებული ბიომრავალფეროვნება და მოსალოდნელი ზემოქმედება. აღსანიშნავია, რომ ელექტროგადამცემი ხაზის შეცვლილი დერეფანი უახლოესი ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტისგან („ბორჯომ-ხარაგაული 2“ – GE0000056) დაშორებულია დაახლოებით 1,3 კილომეტრით. დოკუმენტში წარმოდგენილია ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებულ საპროექტო ტერიტორიაზე დამატებით ჩატარებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები და ზურმუხტის ქსელზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესაბამისობის შეფასება. მიღებული შედეგების თანახმად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, ბიომრავალფეროვნებაზე და ზურმუხტის ქსელის საიტზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან დაკავშირებული არ იქნება.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ახალციხის და ადიგენის მუნიციპალიტეტების მერიაში, საინფორმაციო დაფებზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობის ცვლილების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილება არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს 400 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის – „ახალციხე-თორთუმი“-ს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება **არ საჭიროებს** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენას;
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 21 სექტემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-837) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით;
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის შემუშავება და

სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც მათ შორის, გათვალისწინებული იქნება „ახალციხე-თორთუმის“ ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა-ექსპუატაციის პროცესში ფრინველების სიკვდილიანობაზე დაკვირვების (ელექტროსადენებთან, ან/და ანძებთან შეჯახებით სიკვდილიანობა) და ასევე, დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხები, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს „ახალციხე-თორთუმის“ ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანში სენსიტიური ტერიტორიების გამოვლენაზე, მათ შორის, ფრინველთა სამიგრაციო მარშრუტების სიახლოვეს არსებულ მონაკვეთებზე და საჭიროების შემთხვევაში, მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ სენსიტიური მონაკვეთებზე, უზრუნველყოფილი იქნეს სადენების მარკირება;

4. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 21 სექტემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-837) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ახალციხის და ადიგენის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფებზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/483-21-4-202509091017

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა